community

The New Apostolic Church around the world

03/2017/GE

წმიდა ზიარების ჩატარება

100 წლის იუბილე კომბინირებული სეფისკვერი

ღვთისმსახურება ნჯამენაში: ერთგულად ვიცავთ ჩვენს პირობას

რედაქციისგან: ვადიდოთ და მადლი შევწიროთ ღმერთს

ეკლესიის მოძღვრება: თავმდაბლობა

New Apostolic Church
International

ვადიდოთ და მადლი შევწიროთ ღმერთს

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

წლევანდელი წლის დევიზი „დიდება ღმერთს, ჩვენს მამას!“ სამ ამოცანას შეიცავს, რომლებიც 2017 წლისათვის დავისახეთ. თუ ღმერთისა და მისი შემოქმედების სიდიადეს კარგად გავაცნობიერებთ - და ეს პირველი ამოცანაა -, მოდით, ვადიდოთ ღმერთი და მადლი შევწიროთ მას. შეძენილ ცოდნაზე არასწორი რეაქცია იქნება ის, თუ არ გამოვიყენებთ ამ ცოდნას და უმოქმედონი და მდუმარენი დავრჩებით.

დიდება და მადლის შეწირვა - კონკრეტულად როგორ ვახერხებთ ამას ყოფით ცხოვრებაში?

მადლობას ღმერთს მსხვერპლშეწირვით ვუხდით. აქ საქმე მარტო ფულს არ ეხება, ლაპარაკია ღვთის მიმართ მადლიერებაზე. ჩვენ მადლობლები ვართ ღვთისა და ვუბრუნებთ მას უკან იქიდან, რაც მანამდე მისგან მივიღეთ.

ღმერთს ჩვენი შემრიგებლობით ვუხდით მადლობას. იმის გამო, რომ ღმერთის მადლობლები ვართ მისი წყალობისა და მიმტევებლობისათვის, მზად ვართ მოყვასსაც მივუტევოთ.

ღმერთს ჩვენი მსახურებით ვუხდით მადლობას. ღმერთს იმიტომ არ ვემსახურებით, რომ რაღაცის დამსახურება ან მიღება გვინდა. ჩვენ ვემსახურებით მას, ვინაიდან უკვე ყველაფერი მივიღეთ, ვინაიდან თავისი მემკვიდრეობა აღგვითქვა მან.

მას შემდეგ, რაც ღმერთისა და შემოქმედების სიდიადე შევიმეცნეთ, მოდით, პატივი მივაგოთ ღმერთს და მადლი შევწიროთ მას წყალობისა და სიკეთისათვის. ჩვენ მას მადლობას ვუხდით მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნით, შემრიგებლობით და იმით, რომ მას და მოყვასს ვემსახურებით.

გულითადი მოკითხვებით
თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

ერთგულად ვიცავთ ჩვენს პირობას

შაბათს, 2017 წლის 22 იანვარს, ნჯამენაში (ჩადი) პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერთან ერთად 1000 მორწმუნე შეიკრიბა.

ფოტო: კანადის ახსე

დან. 3, 17. 18

„თუ ასე იქნება, ჩვენს ღმერთს, რომელსაც ვემსახურებით, შესწევს ძალა, რომ ცეცხლით გავარვარებული ღუმლიდანაც გადაგვარჩინოს და შენი ხელიდანაც გვიხსნას, მეფეო! თუ არა და, იცოდე, მეფეო, ჩვენ მაინც არ ვემსახურებით შენს ღმერთებს და თაყვანს არ ვცემთ იმ ოქროს კერპს, შენ რომ აღმართე“.

გულით საყვარელო ძმებო და დებო ქრისტეში, ძვირფასო სტუმრებო, მიხარია, რომ შემიძლია ეს ღვთისმსახურება თქვენთან ერთად გავიზიარო და თქვენთან ერთად მივიღო ღვთის კურთხევა.

დღეს დილით მოვისმინეთ სიტყვა, რომელიც დანიელისა და მისი მეგობრების ისტორიას ეხება. დარწმუნებული ვარ, რომ აქ, ნჯამენაში, ყველამ იცით ეს ისტორია.

ნაბუქოდონოსორი, ბაბილონის მეფე, ისრაელსა და იუდეას დაესხა თავს და ტყვეები ბაბილონში წაასხა. მათ შორის იყვნენ დანიელი, შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო. მეფემ მათ ასეთი წინადადება შესთავაზა: „გთავაზობთ, რომ სამი წლის განმავლობაში ჩემს კარზე ისწავლოთ.“ როგორც ჩანს, ანტიკური ხანის ბაბილონში იმჟამად კარგად განვითარებული ცივილიზაცია არსებობდა. მეფემ უთხრა მათ: „სამი წელი რომ გაივლის, ჩემს სამეფოში თქვენ მნიშვნელოვან პოსტებს დაიკავებთ.“

ეს წარმოუდგენელი შანსი იყო საწყალი, ტყვედ ჩამოყვანილი ახალგაზრდებისათვის; თუმცა ამ წინადადებას ასეთი პირობა ედო საფუძვლად: „თქვენ მეფის ულუფისგან შეჭამთ და მისი სასმელებიდან დალევთ.“ ყმაწვილებისათვის ძალიან საინტერესო წინადადება იყო ეს, თუმცა თქვეს: ჩვენ ვერ შევჭამთ მეფის ულუფისაგან, რადგან ეს ჩვენს რწმენას ეწინააღმდეგებაო. ისინი ასეთ კომპრომისზე წავიდნენ: „ნება მოგვეცით, ჩვენი საჭმელი ვჭამოთ, ჩვენ კი თქვენს მოძღვრებას მივყვებით. ღმერთი შეგვაძლებინებს ამას.“ და ასეც მოიქცნენ. მათ შეინარჩუნეს ღმერთის ერთგულება, კვლავაც ემორჩილებოდნენ რჯულს და სწავლობდნენ. ამის შემდეგ მათ არა მარტო მაღალი პოსტების დაკავება შეძლეს სამეფოში, არამედ მეფისა და მთელი ქვეყნისათვის კურთხევის წყაროდაც იქცნენ, ისე კარგად ემსახურებოდნენ მათ.

ჩვენი უმაღლესი პრიორიტეტი ღვთის სასუფეველია.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მეფემ კერპი დაამზადებინა და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „ამიერიდან სხვა ღმერთების თაყვანისცემა აკრძალულია. ყველამ ამ კერპს უნდა სცეს თაყვანი და, ვინც ამას არ გააკეთებს, მოკვდება.“ ჩვენი ახალგაზრდები მიხვდნენ, რომ ნებისმიერი კომპრომისი გამორიცხული იყო: ან ღმერთზე უნდა ეთქვათ უარი და ეცოცხლათ, ან არადა მისი ერთგულნი დარჩენილიყვნენ და მომკვდარიყვნენ. სხვა გზა არ არსებობდა.

ისინი ღმერთის ერთგულნი დარჩნენ და უთხრეს მეფეს: „თუ ღმერთს სურს, გადაგვარჩენს. მას შეუძლია სიკვდილისგან გვიხსნას, ჩვენ მას არასოდეს უარვყოფთ.“ თქვენ იცით ეს ისტორია. მეფემ ისინი ცეცხლით გავარვარებულ ღუმელში ჩააყრევინა და როცა შიგ ჩაიხედა, დაინახა, რომ იქ სამი კი არა, ოთხი კაცი იყო. ღუმელში მათთან ერთად ღვთის ანგელოზი დადიოდა მათ დასაცავად. მეფემ სამივე ამოაყვანინა ღუმლიდან და ამ ახალგაზრდებმა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინეს სამეფოში, ჭეშმარიტად კურთხევის წყარო გახდნენ ყველასათვის.

საყვარელო და-ძმანო, ეს ძველი ისტორია ბევრ რამეს გვეუბნება ჩვენს სარწმუნოებრივ ცხოვრებაზე. ეს ახალგაზრდა ხალხი რჩეულ ხალხს, ღვთის ხალხს, ეკუთვნოდა. ჩვენ ღვთის რჩეულები ვართ, ისინი ვართ, ვინც ღმერთმა თავის შვილებად ამოირჩია. როცა მოვინათლეთ და ქრისტიანები გავხდით, დავდეთ პირობა, რომ წინ აღვუდგებოდით ცოდვას და იესოს გავყვებოდით. როცა მოციქულმა სულიწმიდით აღგვბეჭდა და შედეგად სულიწმიდის მადლი მოგვეფინა, ავიღეთ ვალდებულება, რომ უფლის მეორედ მოსვლისათვის მოვემზადებით. ეს არის ორი პირობა, ორი ვალდებულება, რომლებიც ვიკისრეთ. მოდით, წინ აღვუდგეთ ცოდვას და გავყვეთ იესოს, მოდით, მოციქულთა მეშვეობით იესოს მეორედ მოსვლისათვის მოვემზადოთ.

მაგრამ ჯერ კიდევ დედამიწაზე ვცხოვრობთ და უნდა ვიშრომოთ, რამენაირად გავიტანოთ ცხოვრება, ვიზრუნოთ ჭამაზე, ტანისამოსზე და ჭერზე. უნდა ვიზრუნოთ ჩვენს შვილებსა და მათ მომავალზე. მართალია, ქრისტიანები და ღვთის შვილები ვართ, მაგრამ ჩვენც გვინდა წარმატებული ცხოვრება. იმის გამო, რომ ახალსამოციქულო ქრისტიანები ვართ, სიღარიბისთვის სულაც არ ვართ განწირულნი. არც ცხოვრებაში წარმატების მიღწევა გვაქვს აკრძალული იმის გამო, რომ ღვთის შვილები ვართ. გარდა ამისა, სრულიად ნორმალურია, რომ გარკვეული სოციალური წარმატებისკენ ვისწრაფვით. ზემოთ ნახსენები ახალგაზრდების მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ. ჩვენი უმაღლესი პრიორიტეტი ღვთის სასუფეველია. ჩვენ დავდეთ პირობა, რომ დავიცავთ მცნებებს და უფლის დღისათვის მოვემზადებით. თუ წარმატების, კეთილდღეობისა და ბედნიერებისკენ ვილტვით, მაშინ ეს ისე გავაკეთოთ, რომ დავიცვათ ღვთის მცნებები და პრიორიტეტი ჩვენს სულს მივანიჭოთ. ეს არის ჩვენი ვალდებულება. დიახ, ამ ცხოვრებაში წარმატების მიღწევა ჩვენც გვინდა, მაგრამ ისე, რომ დავიცვათ მცნებები და უპირატესობა სულს მივანიჭოთ; ცეცხლით გავარვარებულ ღუმელში ჩაყრილი ახალგაზრდების მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს შესაძლებელია, მაგრამ მათსავით უნდა მოვიქცეთ.

უნდა ვემორჩილებოდეთ მცნებებს, ვიყოთ ერთგულნი, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა ვიშრომოთ კიდეც. ღმერთს ვერ ვეტყვით: „მისმინე, მე ვიცავ მცნებებს, ვცდილობ, არ შევცოდო, დავდივარ ეკლესიაში და ვზრუნავ ჩემს სულზე. მომეცი ფული, მე ის მჭირდება.“

ჩვენ ორივე უნდა გავაკეთოთ: უნდა დავიცვათ პირობა, რომელიც ღმერთს მივეცით, და ისევე

ვიშრომოთ, როგორც ყველა ადამიანი შრომობს. თუ ორივეს გავაკეთებთ - ანუ ვიმუშავებთ და ჩვენი და ჩვენი შვილებისათვის ინვესტიციას ჩავდებთ, ასევე დავიცავთ ღვთის მცნებებს და ჩვენს სულს უპირატესობას მივანიჭებთ, - მაშინ გვაკურთხებს ღმერთი.

რანაირად მოგვეფინება ღვთიური კურთხევა? ზოგჯერ ღმერთი წარმატებაზე ლაპარაკობს და ჩვენ გვაქვს ეს წარმატება ცხოვრებაში, გვაქვს ფული, ჯანმრთელები ვართ, კარგი სამსახური გვაქვს: მისი კურთხევა მდგომარეობს იმაში, რომ მარტო წარმატება კი არ გვქონდეს, არამედ იესო ქრისტე გვყავდეს და ჩვენ შევინარჩუნეთ იესო ქრისტე! გულში მშვიდობა გვაქვს, გვაქვს ხსნა, ეს კი დიდი კურთხევაა!

ხანდახან კურთხევა სხვანაირადაც ვლინდება: ყველაფერს როდი ვიღებთ, რისი მიღებაც გვინდა. ყველა ჩვენს საქმეში როდი ვაღწევთ წარმატებას მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის მორჩილნი ვიყავით და მცნებებსაც ვიცავდით. და მაინც ვაცნობიერებთ, რომ ღვთის კურთხევა აქ არის! ღმერთმა მაინც გვაკურთხა! მაშინაც კი, თუ ყველა სურვილი არ გვისრულდება, გულში ხომ ისადგურებს მშვიდობა. არ გვიჩნდება სხვების დადანაშაულების მოთხოვნილება, არ ვართ გამწარებულნი და აგრესიულები. და თუ ყველა სურვილი არ შეგვისრულდა, გულში ხომ მაინც გვაქვს მშვიდობა და ბედნიერები ვართ იესო ქრისტეში?!

ეს არის კურთხევა, რომელსაც ღმერთი იმას აძლევს, ვინც მისი მორჩილია და მის საქმეს აკეთებს. მისი ნებისამებრ გვწყალობს იგი წარმატებას და კიდევ გულის სიმშვიდეს. ჩვენ არ მივყიდეთ სული ეშმაკს და ღმერთი მაინც გვეუბნება ხოლმე ამას: „არა, არ გიწყალობებ წარმატებას, მაგრამ გაკურთხებ.“ და თუ ყველაფერი არა გვაქვს, რაც გვინდა, გულში ხომ გვაქვს მშვიდობა და ბედნიერები ვართ იესო ქრისტეში, ასევე კურთხევა მოგვაქვს სხვებისთვისაც.

საყვარელო და-ძმანო, ვინც ღვთის მცნებებს იცავს, ის არასოდეს ატკენს გულს მოყვასს.

სამწუხაროდ, დღეს ბევრ ადამიანს სურს, რომ აბსოლუტური წარამტება ჰქონდეს. მათ სურთ იყვნენ მდიდრები, სახელგანთქმულები და ბედნიერები; ამ მიზნის მისაღწევად კი მზად არიან, გვამებზე გადაიარონ. ვისაც წარამტება ქრისტესა და ღვთის რჯულის დაცვით სურს, ის კურთხევაა სხვებისათვის, რადგან საკუთარ ბედნიერებას არასოდეს ააგებს სხვების უბედურებაზე. ის

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი მოციქულად აკურთხებს ნდანგალნგარ ნაოს (მარჯვ.) და ჟან ბლაგუე კოიუტანს (შუაში)

კურთხევაა, ვინაიდან ქრისტეს ჭეშმარიტი მოწმეა და ამტკიცებს, რომ იმის გაკეთება, რასაც იესო მოითხოვს, შესაძლებელია. ამას ზემოთ მოყვანილი ისტორიის (კაცები გავარვარებულ ღუმელში) პირველი ნაწილი გვასწავლის.

ახლა კი ამ ისტორიის მეორე ნაწილი, რომელიც კერპსა და გავარვარებულ ღუმელს ეხება. ხანდახან ჩვენც ისეთ სიტუაციებში ვხვდებით, როცა კომპრომისი შეუძლებელია. გადაწყვეტილება გვაქვს მისაღები, არჩევანი უნდა გავაკეთოთ: ან ღმერთის მხარეს უნდა დავდგეთ ან მის წინააღმდეგ. დავუშვათ ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რომ რაღაცის მისაღებად ღმერთი უნდა უარვყოთ, კომპრომისის საშუალებაც არ არის. მოდით, ამ დროს ერთი არჩევანი გავაკეთოთ და, კერძოდ, კარგი არჩევანი.

ზოგჯერ ისეთ მოწინააღმდეგეებთან გვაქვს ხოლმე საქმე, რომლებიც ახალ აღთქმას „ქრისტეს მეტოქეს“ უწოდებენ; ისეთ ადამიანებთანაც გვიწევს კონფრონტაცია, რომლებიც გულს გვტკენენ და ცუდად გვექცევიან იმის გამო, რომ ქრისტიანები ვართ, იმის გამო, რომ ღვთის შვილები და ახალსამოციქულო რწმენის მიმდევრები ვართ.

მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ქრისტიანებს მათი რწმენის გამო სდევნიან; მათ არჩევანის

წინაშე აყენებენ: „ან უარყოფ ქრისტეს, ან არადა მოგკლავთ!“ ამ დროს ბევრ ქრისტიანს ჰყოფნის გამბედაობა და ამბობს: „ქრისტეზე უარის თქმას სიკვდილი მირჩევნია!“ ეს არა მხოლოდ პირველი ქრისტიანული ეკლესიის ეპოქაში ხდებოდა, არამედ , სამწუხაროდ, დღესაც ხდება მსოფლიოში, და ჩვენ ვლოცულობთ ამ ქრისტიანებისათვის, რათა ღმერთი შეეწიოს მათ. აქ, ნჯამენაში, არ არის ასეთი სიტუაცია, თუმცაღა არის ხალხი, ვინც ბოროტებას გვიკეთებს, რადგან ღვთიური წესების დაცვა გვინდა, ისინი დაგვცინიან, რადგან ახალსამოციქულო ქრისტიანები ვართ და ჩვენი რწმენის გამო ცუდად გვექცევიან.

საყვარელო და-ძანო, მოდით, შევეწინააღმდეგოთ მათ. ვიცი, ხშირად ამის თქმა უფრო ადვილია: „არ მინდა, რომ დამგმონ, ამიტომ სხვა ეკლესიაში წავალ და სხვა რელიგიას მივიღებ“ არა, მოდით, ქრისტეს ერთგულნი დავრჩეთ, ნათლობის ფიცის ერთგულნი დავრჩეთ, სულიწმიდით აღბეჭდვის ფიცის ერთგულნი დავრჩეთ; იმის ნაცვლად, რომ რწმენაზე ვთქვათ უარი, უმჯობესია, ცოტათი დავიტანჯოთ.

საყვარელო და-ძმანო, ისინი, ვინც ასე იქცევიან, იმის მომსწრენი გახდებიან, რაც სტეფანემ განიცადა: ისიც დაიტანჯა, რადგან იესო ქრისტეს ერთგული დარჩა, მაგრამ ტანჯვისას იესო ქრისტე იხილა, რომელიც ზეციდან დასცქეროდა მას და მის გვერდით იყო. ქრისტეს გამო ტანჯულნი ისევ და ისევ დარწმუნდებიან იმაში, რომ უფალი მათთან არის, ეხმარება და ანუგეშებს მათ. ყმაწვილებმა მეფეს უთხრეს: „რაც გინდა ის ჰქენი, ჩვენი ღმერთი უფრო ძლიერია. ის სიკვდილისგან გვიხსნის.“ ეშმაკს ასე ვუთხრათ: „შეიძლება დღეს ტანჯვას გვაყენებ, მაგრამ იესო შენზე ძლიერია. ისტორიის დასასრულს ის გაიმარჯვებს. ის ბოროტისგან გვიხსნის და საუკუნო სიცოცხლეს მოგვანიჭებს; და ვინაიდან ასეთი აღთქმა გვაქვს, უარს ვამბობთ იესოსა და ჩვენი რწმენის უარყოფაზე. გვირჩევნია, ცოტათი დავიტანჯოთ ქრისტეს გამო, რათა ერთხელაც საუკუნოდ მასთან ვიყოთ.“

და მეორე შემთხვევა: ზოგჯერ ჩვენს რომელიმე სურვილზე ან სიამოვნებაზე უნდა ვთქვათ უარი, ვინაიდან ისინი ჩვენს რწმენასთან თანხმობაში არ მოდიან. მაგ., სიმდიდრისკენ ან გარკვეული სოციალური რანგის მიღწევისკენ ვილტვით, ამა თუ იმ პოსტის ან ადგილის დაკავება გვინდა, გვინდა, ვფლობდეთ რაიმე ნივთს, მაგრამ კარგად გვესმის, რომ ამისათვის ღმერთის მიმართ დაუმორჩილებლობის გამოჩენა მოგვიწევს. ანდა სასურველის მისაღებად ტყული უნდა ვთქვათ ან ქურდობა ჩავიდინოთ, ანდა კორუფციაში გავეხვეთ. ამ დროს ასეთი პოზიცია უნდა დავიკავოთ: „არა, მირჩევნია ღმერთის ერთგული და მორჩილი დავრჩე და უარი ვთქვა იმაზე, რაც ასე ძალიან მინდა რომ მქონდეს.“

საყვარელო და-ძმანო, ისეთი სიტუაციებიც არსებობს, როცა კომპრომისი შეუძლებელია. მაგ., როცა იმისათვის, რომ რაღაც მივიღოთ, რაიმე პოსტი დავიკავოთ ანდა კონკრეტულ წრეში შევაღწიოთ, ღმერთი უნდა უარვყოთ და ათი მცნება დავარღვიოთ, მაშინ სიმტკიცე გამოვიჩინოთ და ვთქვათ: „არა, არ მსურს ღმერთის უარყოფა. მირჩევნია ჩემი პატივმოყვარეობა დავთმო და ჩემს სურვილზე ვთქვა უარი, ვიდრე ღმერთს ვუღალატო. ჩვენთვის იესო ქრისტე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამქვეყნის სიმდიდრენი და სიამოვნებანი.“

საქმე მარტო ღვთის მცნებების დაცვას არ ეხება. ჩვენ დავდეთ აღთქმა, რომ უფლის მეორედ მოსვლისათვის მოვემზადებით. ამისათვის კი ღვთისმსახურება, ღვთის სიტყვა და წმიდა ზიარება გვჭირდება, ამ მიზნით მოციქულებს უნდა გავყვეთ. ამ შემთხვევაშიც გვიწევს არჩევანის გაკეთება: ან ერთი ან მეორე. ნებისმიერი გადაწყვეტილების დროს ერთი რამ ძალიან კარგად ვიცით: „თუ ამ გზიდან გადავუხვევ, ვეღარ დავესწრები ღვთისმსახურებებს.“

კონკრეტული მაგალითი? მაგ., „თუ ამ კაცზე დავქორწინდები მის რელიგიაზე გადასვლა მომიწევს. ვეღარ შევძლებ ჩემს ეკლესიაში სიარულს, მის ეკლესიაში უნდა ვიარო; მაშინ ვერ შევძლებ უფლის მეორედ მოსვლისათვის მომზადებას, აღარ მეყოლება მოციქულები და ვეღარ მივიღებ ზიარებას.“ ძვირფასო „მამა“, რა არჩევანს გააკეთებ შენი ქალიშვილისათვის ასეთ შემთხვევაში? და ეს მხოლოდ მაგალითია.

გახსოვს, როცა ქალიშვილი სულიწმიდით აღსაბეჭდად მიგყავდა? შენ მაშინ ასეთი პირობა დადე: „მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა მან უფლის დღეში მონაწილეობა შეძლოს.“ და შენ ზუსტად იცი ისიც, რომ თუ იგი ამ კაცზე დაქორწინდება, მას მის ეკლესიაში სიარული მოუწევს. რა გადაწყვეტილებას მიიღებ? ეს მხოლოდ მაგალითია, ვინაიდან ახლა ჩვენ „ქალის სახლში“ ვიმყოფებით. და ეს კარგია.

საყვარელო და-ძმანო, ზოგჯერ კონკრეტული მაგალითები გვჭირდება იმისათვის, რომ სწორად იქნას გაგებული ის, რისი თქმაც გვინდა. მთელი სერიოზულობით ვამბობ ამას. თუ ასეთი არჩევანის წინაშე დავდგებით, მაშინ, მოდით, სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ. ერთგულნი დავრჩეთ ჩვენს მიერ დადებული ნათლობისა და სულიწმიდით აღბეჭდვის ფიცისა და იესო ქრისტეს უარყოფას რაღაც-რაღაცეებზე უარის თქმას ვამჯობინოთ.

ერთხელ უფალმა ერთ კაცს უთხრა: „მოდი, გამომყევი!“ მან მიუგო: „წამოვალ, მაგრამ მანამდე მამაჩემი უნდა დავმარხო.“ იესომ ამაზე უპასუხა: „დაანებე მკვდრებს თვიანთი მკვდრების დამარხვა, შენ კი ახლავე გამომყევი!“

უფალი ჩვენგან მოყვასისათვის მიტევებას მოითხოვს.

იუდეველისათვის წარმოუდგენელი იყო, რომ მამა არ დაემარხა; ვინც ამას აკეთებდა, საზოგადოება მას მაშინვე რიყავდა. ამით იესოს იმის ჩვენება უნდოდა, რომ ქრისტეს მიმდევრობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საზოგადოებრივი წესები.

საყვარელო და-ძმანო, ჩვენ ყველა გარკვეულ საზოგადოებას ვეკუთვნით, გარკვეულ კულტურას, გარკვეულ მოდგმას, გარკვეულ ტრადიციებს, და კარგია ასე. მაგრამ თუ ოჯახური, კულტურული თუ საზოგადოებრივი ტრადიციები იესოს მიმდევრობაში გვიშლის ხელს, მაშინ ჩვენი პასუხი ასეთი უნდა იყოს: „შეწყვიტეთ!“ და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენი გარემოცვა ზეწოლას მოახდენს ჩვენზე და გვეტყვის: „ყველა ხომ ასე იქცევა. ასეთია წესი“, ასე უნდა ვუპასუხოთ: „დაე, იყოს ასე, მაგრამ ჩვენც

გაგვიგეთ: იესოს მოწოდება უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე ნებისმიერი ტრადიცია!“

და კიდევ მესამე პუნქტი, როცა კომპრომისი შეუძლებელია იმისათვის, რომ იესოს მიმდევრებად დავრჩეთ. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ძველ ადამზე, ძველ ქმნილებაზე. წყლითა და სულით მონათლულებმა ძველი კაცი უნდა ჩაკლან, რათა ახალ კაცად იქცნენ ქრისტეში. ეს გვიჩვენა იესომ, ეს გვიჩვენა პავლე მოციქულმაც: იესოში ზრდა რომ შევძლოთ, მეორე კაცმა უნდა იკლოს ჩვენში.

უარი ვთქვათ ყველაფერზე, რაც ღმერთს ჩვენს ხასიათში, ჩვენს პიროვნებაში არ მოსწონს. ყველა ჩვენთაგანს გააჩნია პიროვნულობა, შეხედულებები და იდეები, მაგრამ არის ისეთი შეხედულებები და იდეები, რომლებსაც იესო არ ეთანხმება. შეიძლება მე ჩემი აზრი მქონდეს მოყვასზე და ვთქვა: „ვიცი, ის ბოროტია, ასეთი და ისეთია; თავად გამოვცადე.“ იესო კი გვეტყვის: „კარგი, მაგრამ მე სულ სხვანაირად ვხედავ მას. მე მიყვარს იგი და მინდა, რომ ცხონდეს, შენსავით.“ და ამ დროს შინაგანი ბრძოლა იწყება: რომელია მართალი, იესო თუ მე? შეიძლება ამას ახსნაც მოვუძებნოთ: „ვიცი, რომ ეს ადამიანი ბოროტია“, მაშინ გამოდის, რომ ქრისტეს აღარ ვეთანხმები. ამ დროს უნდა გადაწყვიტო: ან შენს აზრზე დარჩები და აღარ იქნები იესოსთან თანხმობაში, ან უარს იტყვი შენს აზრზე და გექნება მშვიდობა ქრისტესგან. რა გადაწყვეტილებას მიიღებ?

უფალი ჩვენგან მოყვასისათვის მიტევებას მოითხოვს. ამ დროს ვამბობთ: „თუ მივუტევებ, გულზე მოეშვება მას, მე კი პატივმოყვარეობა შემელახება. თუ მივუტევებ, სუსტი და დამცირებული გამოვჩნდები.“ ყველა სუსტად ჩაგთვლის იმის გამო, რომ დაუთმე, მაგრამ საერთოდ რატომ მიუტევებ? სწორედ იმიტომ, რომ ვიცით, ცოდვათა მიტევება ჩვენც გვჭირდება, რისთვისაც ჩვენი მხრიდან მიტევებაც აუცილებელია! ჩვენთვის ქრისტეში მშვიდობა და წყალობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პატივმოყვარეობა და შურისძიების წყურვილი. მაშ, უარი ვთქვათ ჩვენს პატივმოყვარეობაზე და ჩვენს შეხედულებაზე სამართლიანობასთან დაკავშირებით, რათა იესოს გზას მივყვეთ და მივუტევოთ.

ჩვენ უარს ვამბობთ ასევე ყველაფერზე, რამაც ერთობა შეიძლება დააზიანოს. ზოგ-ზოგიერთები გვეუბნებიან: „რასაც ვაკეთებ, კარგია, მე მართალი ვარ“, და შეიძლება ასეც იყოს: ისინი მართლები იყვნენ. მაგრამ თავიანთი საქციელით ღვთის შვილთა ერთობას არღვევენ. მაშ, ის გინდა, რომ მართალი იყო, თუ ერთობის შენარჩუნება გსურს? იმათთვის, ვინც იესოს მიმდევარია და მისი მოსვლისათვის მომზადების სურვილი აქვს, ღვთის ხალხის ერთობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი სიმართლის მტკიცება. მას ურჩევნია, გამტყუნდეს იესოს გამო, ოღონდ ქრისტეს ერთობა დაიცვას.

ამას გვასწავლის, საყვარელო და-ძმანო, ეს ისტორია. ჩვენ ღმერთმა ამოგვირჩია, ერთგულება შევფიცეთ მას, დავპირდით, რომ დავიცავთ მის მცნებებს და ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მოვემზადებით. ეს არ გვიშლის ხელს იმაში, რომ წარმატებას მივაღწიოთ ცხოვრებაში. უნდა ვიშრომოთ. ვინც მორჩილია და შრომობს, ღმერთი აკურთხებს მას. ღმერთი წარმატებას უწყალობებს და მშვიდობას მიანიჭებს ასეთ ადამიანს. და თუ წარმატებას ვერ მიაღწევს, გულში სიმშვიდე და სიხარული ექნება, მშვიდობა იესო ქრისტეში. ის კურთხევის მომტანი იქნება თავისი ახლობლებისათვის, ვინაიდან არავის ატკენს გულს, როცა წარმატებისკენ ივლის.

თუმცა არის შემთხვევები, როცა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, რადგან კომპრომისი შეუძლებელია. მაშინ გვირჩევნია, ქრისტეს გამო და მისთვის დავიტანჯოთ, ვიდრე უარვყოთ იგი. უარი ვთქვათ ყველაფერზე, რამაც იესოს მიმდევრობაში და მიზნის მიღწევაში შეიძლება ხელი შეგვიშალოს. ისიც ვიცით: ქრისტეში ახალ ქმნილებად რომ ვიქცეთ, ძველი ადამი უნდა ჩავკლათ ჩვენში. ღმერთი ამ შემთხვევაში კურთხევის გარანტიას გვაძლევს. ყმაწვილები სიკვდილს გადაურჩნენ და იმაზე უფრო მაღალი მდგომარეობა დაიკავეს, ვიდრე მანამდე ჰქონდათ. იესო ხსნას მოგვანიჭებს, აღგვადგენს და მასთან ერთად ვიქნებით მის სასუფეველში როგორც მეფენი და მღვდლები. მაშასადამე, ყოყმანს ადგილი აღარ ექნება: ჩვენ იესო ქრისტესთან ვიდგებით. ამინ.

ძირითადი აზრები

ანიჭებს რა მშვიდობას, ღმერთი ამით თავისი მორჩილების შრომას აკურთხებს. ხსნას ანიჭებს მათ, ვინც ცოდვაზე ამბობს უარს და უფალს უკომპრომისოდ მისდევს.

სიახლეები საქართველოდან

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

ღვთისმსახურება თბილისში

დიაკვან მ. ხიზანიშვილის მღვდლად კურთხევა

საპატიო სტუმრები საქართველოში

3 აპრილიდან 11 აპრილის ჩათვლით საქართველოს მოც. ვოლფგანგ შუგი და სამხ. ხუცესი რალფ ერმიში სტუმრობდნენ. თბილისში ისინი ბაქოდან ჩამოვიდნენ. სამხ. ხუცესი რალფ ერმიში საქართველოს საქმეებს კურირებს ახალსამოციქულო ეკლესიის ადმინისტრაციაში დორტმუნდში. იგი პირველად ეწვია ჩვენს ქვეყანას, რათა პირადად გაეცნო ადგილობრივი თემები და მღვდელმსახურები.

სამშაბათს, 4 აპრილს, მოციქული და სამხ. ხუცესები პ. უგრიმოვი და რ. ერმიში კახეთში გაემგზავრნენ. ახმეტასა და ახალშენში მათ ერთმორწმუნე და-ძმანი სიხარულით შეხვდნენ. მოციქულმა ღვთისმსახურებები იოანეს სახარებიდან აღებული ციტატის საფუძველზე ჩაატარა (13, 10): „ეუბნება მას იესო: ‘განბანილს აღარ სჭირდება დაბანა, გარდა ფეხისა, რადგან ის მთლიანად სუფთაა და თქვენც სუფთანი ხართ, ოღონდ ყველა არა“.

ოთხშაბათს მოციქულმა თბილისის და-ძმებისათვის იმსახურა. ღვთისმსახურების დროს მან დიაკვანი მიხეილ ხიზანიშვილი მღვდლად აკურთხა და ღვთის სამსახურში წარმატებები უსურვა.

მეორე დღეს, 5 აპრილს, მოციქულმა ვ. შუგმა კვლავ კახეთში, კონდოლის თემში იმსახურა.

მოც. ვ. შუგი და სამხ. ხუცესი რ. ერმიში ბათუმის ეკლესიაში

და-ძმანი

ამ პატარა თემში 16 მორწმუნე შეიკრიბა და მათ დიდი ყურადღებით მოისმინეს ღვთის სიტყვა და ღვთისმსახურება მადლიერებით აღსვსეებმა დატოვეს.

8 და 9 აპრილს, შაბათ-კვირას, სტუმრები სამხ. ხუცეს პ. უგრიმოვთან ერთად აჭარაში იმყოფებოდნენ. შეხვდნენ ბათუმისა და ფოთის და-ძმებს. მოციქულმა ღვთისმსახურებებს მარკოზის სახარებიდან აღებული ციტატა დაუდო საფუძვლად (11, 17): „და ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა: 'არ სწერია, ჩემი სახლი ყველა ხალხის სამლოცველო სახლად იწოდებაო? თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად აქციეთ.“ მოციქულმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ღმერთთან საქმეების კეთება არ შეიძლება. მას სუფთა გულითა და სინდისით უნდა ვემსახუროთ.

როგორ ვიცით, დიდ დმანისში ახალსამოციქულო რწმენის ერთი ოჯახი ცხოვრობს, რომლებზედაც სასულიერო ზრუნვა რეგულარულად ხორციელდება. თვეში ორჯერ მათთან მღვდელმსახურები ჩადიან თბილისიდან და ღვთისმსახურებას ატარებენ. მოც. შუგი და სამხ. ხუცესი რ. ერმიშიც ესტუმრნენ დმანისელ და-ძმებს და ღვთის სიტყვა მიუტანეს მათ.

9 აპრილს, საღამოს, მღვდელმსახურთა სემინარი შედგა, სადაც გაღრმავებულ იქნა საკვირაო ღვთისმსახურების თემა (მარკ. 11, 17) და განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხები.

ამ ვიზიტის დროს მოციქულმა ვ. შუგმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სამხ. მოციქულ რაინერ შტორკის საქართველოში ვიზიტზე, რომელიც ამა წლის 13 აგვისტოს, 12 საათზე, თბილისში, ავლაბრის ეკლესიაში, საქართველოს ერთმორწმუნე და-ძმებისათვის იმსახურებს. მასთან ერთად საქართველოს კიდევ ხუთი მოციქული ესტუმრება მეუღლითურთ. ყველა მოუთმენლად ელოდება ამ სასიხარულო დღეს და გულმოდგინედ ემზადება ამ მოვლენისათვის.

კონდოლელი და-ძმანი

| სასულიერო ზრუნვის განმტკიცება

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

სამხ. უხუცესი ი. ფოლმანი ახალშენის თემში

ღვთისმსახურება ავლაბრის თემში

სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი ხშირად ჩამოდის საქართველოში, იგი მოც. შუგის დავალებებს ასრულებს და სასულიერო სფეროში მღვდელმსახურების განმტკიცებას უწყობს ხელს.

სამხ. ხუცესი ი. ფოლმანი საქართველოში 12 ივნისს ჩამოვიდა. მან ღვთისმსახურებები ჩაატარა თბილისში, ახალშენსა და ახმეტაში.

ძმების საათზე, რომელიც 15 ივნისს საღამოს შედგა, სამხ. უხუცესმა ისაუბრა იმაზე, რომ მთავარი კარგი განწყობაა, კარგი ატმოსფეროს შექმნა, რაც ხელს უწყობს მშვიდობას ოჯახშიც და თემშიც. ისაუბრეს ასევე სამხ. მოციქულ რაინერ შტორკის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე.

16 ივნისს ავლაბრის ეკლესიაში მღვდელმსახურთა სემინარი ჩატარდა, რომელსაც აზერბაიჯანელი ძმებიც ესწრებოდნენ. სემინარზე განხილულ იქნა სასულიერო ზრუნვასთან დაკავშირებული ოთხი თემა:

- სასულიერო ზრუნვის მიზნები და ფარგლები;
- დაგეგმვა, მომზადება სასულიერო საუბრებისათვის;
- კომუნიკაცია სასულიერო საუბრების დროს;
- სასულიერო ზრუნვა ხანშიშესულ და-ძმებზე.

სემინარზე საკმაოდ აქტიური დისკუსია გაიმართა, რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა საკითხების უკეთ გაგებას.

საღამოს ყველა ერთობლივ ვახშამზე შეიკრიბა.

სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი 19 ივნისს სამშობლოში დაბრუნდა.

ახმეტის თემი

სეფისკვერი ასი წლისაა: როცა თასი გარდავიდა

ფოტო: ჩრდ-რაინ ვესტფალიის ახსე-ს ცენტრალური არქივისა და ფედერალური არქივის მონაკვეთები - bundesarchiv.de (ჯარისკაცები სანგრებში)

სამ წვეთს იუბილე აქვს: 1917 წლის ვნების პარასკევს პირველმოციქულმა თავისი პირველი ოფიციალური ღვთისმსახურება მხოლოდ სეფისკვერით იზეიმა, ღვინის თასის გარეშე. ის, რაც დღეს ჩვეულებრივია, 100 წლის წინ აუცილებლობა იყო. - რატომ?

„მაშ ასე, დღეს წმიდა ზიარების მიღების წესში ცვლილება გვაქვს.“ – პირველმოციქულმა ჰერმან ნიჰაუსმა ამ სიტყვებით დაიწყო ახალი ეპოქა 1917 წლის 6 აპრილს ბილეფელდში (გერმანია). მანამდე, როგორც წესი, ზიარება პურით, კვერის სახითა, და თასიდან ღვინის შესმით ტარდებოდა. ახლა კი ღვინო მხოლოდ სეფისკვერზე დაწვეთებული სამი წვეთით იყო წარმოდგენილი.

ორი პრობლემა ---

პირველი მსოფლიო ომის შუახანებში ღვინო არ იშოვებოდა. „სანახევროდ წყლის გამოყენებაც ვცადეთ, მაგრამ არც ეს გვყოფნიდა“, განაცხადა პირველმოციქულმა ამ ისტორიულ ღვთისმსახურებაზე.

ქოლერა, ტიფი, ტუბერკულოზი - ეს თემა ეპიდემიების შიშმა წამოჭრა. „თასი ყოველი შესმისას ტილოთი იწმინდებოდა და მღვდელმსახური ატრიალებდა მას.“ თუმცა „შემჩნეულ იქნა, რომ თასს ისიც ატრიალებდა, ვინც იქიდან სვამდა“, „ზოგიერთები კი თასიდან ისე წრუპავდნენ, რომ მას თითქმის არ ეხებოდნენ ტუჩებით.“

--- და სამი გამოსავალი

სამ გამოსავალზე იყო დისკუსია 1917 წლის 25 მარტის ახალსამოციქულო ქრონიკის მოწინავე სტატიაში. პირველი, თითო-თითო პატარა თასები, როგორც ეს ადგილობრივ ევანგელისტურ ეკლესიებში იყო შემოღებული. თუმცა, მეტ-ნაკლებად მდიდრული ჭურჭელი ზიარების დროს კლასობრივ განსხვავებას გაუსვამდა ხაზს, „რაც

მკაცრი რელიგიური თვალსაზრისით თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული.“

მეორე, სეფისკვერები სპილოს ძვლის ჩანგლით ღვინოში ჩაეწოთ და ისე მიეწოდებინათ ერთმორწმუნე და-ძმებისათვის, როგორც ამას ჰოლანდიის თემებში აკეთებდნენ. თუმცა, „ამ შემთხვევაში სეფისკვერები სწრაფად რბილდებოდნენ“ და ხელს ეწებებოდნენ - არც ეს იყო დიდად ჰიგიენური.

მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდა: „ომმა ბევრი რამ გვასწავლა.“

გაჭირვება როგორც მოძღვარი

1915 წლის ოქტომბერი, საფრანგეთის ფრონტი: ჯარისკაცმა ინიციალებით ვ. გ. საველე ფოსტით „ძვირფასი პირველმოციქულისგან ზიარების“ წერილი მიიღო.“ – „ჩვენ არა მხოლოდ ვთხოვთ და ვევედრებით ღმერთს თქვენთვის, არამედ გაზიარებთ კიდეც იმას, რაშიც იესოსმიერი საქმეებია ჩადებული“, ნათქვამი იყო ამ წერილში. – „ პატარა ბავშვივით მიხაროდა ჩემს თივის სანგარში“ - ასეთი იყო ვ. გ-ს პასუხი, რომელიც 1916 წლის იანვრის ახალსამოციქულო ქრონიკაში გამოქვეყნდა.

თავიდან კვერებს ღვინის პატარა ბოთლებიც ერთვოდა თან. მაგრამ ისინი ჩუმად გახსნილი პაკეტებიდან ქრებოდა - ისევე, როგორც სიგარეტები. ამიტომაც ეკლესიის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ 1914 წლის ომის დაწყებამდე უზრუნველყოფდა ჯარისკაცებს მხოლოდ კომბინირებული სეფისკვერებით: „ვაკურთხებთ (ღვინის) თასს და სეფისკვერებს და შემდეგ სეფისკვერებს ნაკურთხი თასიდან ეპკურება ღვინო.“

საქმე რაოდენობაში არ არის

გამართლებულია ეს იმ წმიდა ზიარებისათვის, რომელიც იესო ქრისტემ დააწესა? პირველმოციქულ ნიჰაუსის პასუხი ნათლობასთან შედარება იყო: „არის კონფესიები, რომლებიც ნათლობისას წყალში ყვინთავენ, ჩვენ კი პკურებაც გვყოფნის.“ ამასთანავე, ვნების პარასკევის ღვთისმსახურებაზე მან მკაფიოდ გაუსვა ხაზი მარტინ ლუთერის სიტყვებს კატეხიზმოდან: „წყალი თავისთავად არაფერს აკეთებს, არმედ ღვთის სიტყვა, რომელიც წყალთან და წყალშია.“

„თუ მრავალ ათასს კაცს დააკმაყოფილებს პკურება, ჩვენც კმაყოფილდები ვიქნებით“, აღნიშნა ეკლესიის ხელმძრვანელმა ვნების პარასკევის ღვთისმსახურებაზე: „როგორც ვხედავთ, პურის მიღება ღვინის სამ წვეთთან ერთად ხდება.“ თუმცა თავიდან ეს მხოლოდ მის სამოღვაწეო მხარეში მოქმედებდა, როცა იგი მოციქული იყო. ყველასათვის სავალდებულო ეს წესი ერთობლივი გადაწყვეტილების შემდეგ გახდა, რომელიც 1919 წლის შემოდგომაზე ცირკულარული წერილის მეშვეობით გახდა ცნობილი: „მოციქულთა გადაწყვეტილებით ამიერიდან ეს ღვთის მთელი საქმისათვის იქნა დადგენილი.“

ქვემოთ მარცხ.: საველე წერილი სეფისკვერითა და ღვინის პატარა ბოთლით
ქვემოთ მარჯვ.: პირველი მსოფლიო ომის ჯარისკაცები სანგრებში ცეცხლის შეწყვეტის დროს.

სტუმრად სუჰანისთან რაიპურში (ინდოეთი)

აქ მე ვარ - მიყვარს ყვავილები!

ჩემი სახელია სუჰანი, ათი წლის ვარ. ვცხოვრობ რაიპურში, იგი ინდოეთის ფედერალური შტატის ჩატისგარჰის დედაქალაქია. აქ ველოსიპედი საკმაოდ პოპულარულია. მეც მიყვარს ველოსიპედით სიარული; შეხედეთ, ეს ჩემი ველოსიპედია.

მამაჩემს დანიალი ჰქვია, მას მოდური ტანსაცმლის დიდი მაღაზია აქვს. მე მიყვარს კარგად ჩაცმა, მაგრამ, სამწუხაროდ, მამაჩემის მაღაზიაში მხოლოდ მამაკაცის ტანსაცმელი იყიდება. დედაჩემს ჰქვია ჯანკი. ის სახლზე და ჩვენზე, ბავშვებზე, ზრუნავს. ჩემი უფროსი ძმა არიანი თორმეტი წლისაა. ჩვენ ძალიან დიდი ოჯახი გვაქვს. სურათზე ჩემს რამოდენიმე დეიდას და ბიძიას, ბიძაშვილებსა და მამიდაშვილებს ხედავთ. ეს მხოლოდ მამაჩემის ოჯახია. წარმოიდგინეთ სურათი ყველა ჩემს ნათესავთან ერთად?!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს სახლში. როგორც ბევრი სხვა ადამიანი ინდოეთში, ჩვენც ერთსართულიან სახლში ვცხოვრობთ. ოთხივენი ერთ საძინებელს ვიყოფთ და გვაქვს კიდევ დერეფანი, პატარა სამზარეულო და აბაზანა.

ჩემი საყვარელი საჭმელია იტალიური პასტა და ატრია - ძალიან გემრიელია!

ეს მე ვარ ჩემი სკოლის ჭიშკრის წინ. აქ საგნების უმრავლესობა ინგლისურად ისწავლება, მაგრამ სახლში ჰინდიზე ვლაპარაკობთ. ჰინდი ინდოეთის ნაციონალური ენაა.

აქ მე გიჩვენებთ რამოდენიმე ნახატს, რომლებიც სკოლაში და სახლში დავხატე. მიყვარს ხატვა და ჩანახატების კეთება.

როცა მამაჩემს თავისუფალი დრო აქვს, ზოგჯერ სავაჭრო ცენტრში მივყავარ ხოლმე საყიდლებზე. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარული ის არის, როცა სათანმაშო ზონაში მანქანის ტარების უფლებას მაძლევენ.

აქ მე ეკლესიის წინ ჩემს ძმასთან, მშობლებთან და ბებია-პაპასთან ერთად ვარ. რაიპურში საკუთარი ეკლესიის შენობა არა გვაქვს და ღვთისმსახურებები უკვე 35 წელია დაქირავებულ შენობაში ტარდება. სულ ხუთი საკვირაო სკოლის მოსწავლე ვართ, რომლებზეც ხუთი მასწავლებელი ზრუნავს; ერთ-ერთი მათგანი დედაჩემია. საკვირაო სკოლა კვირა დილით ტარდება, შემდეგ კი ყველასთან ერთად ღვთისმსახურებას ვესწრებით.

წყარო: ჟურნალი „ჩვენ, ბავშვები“, 12/2016 წ.; ფოტო: პირადი

თავმდაბლობა - რჩეულთა დამახასიათებელი თვისება

ფოტო: © ZoneCreative - Fotolia.com

ღვთის მიმართ დამოკიდებულება მოყვასის მიმართ დამოკიდებულებაში აისახება. ეს ეხება არა მარტო სიყვარულს, არამედ თავმდაბლობასაც. პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერის მსჯელობანი ერთ-ერთ მთავარ ქრისტიანულ სათნოებასთან მიმართებაში.

ქრისტიანულ მოძღვრებაში თავმდაბლობას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება. ღვთის მიმართ თავმდაბლობა იესომ უცილობელ წინაპირობად აქცია ხსნის მიღწევის საქმეში (მათ. 18, 3. 4). ახალი აღთქმის წერილები კაცთა წინაშე თავმდაბლობას აღწერს როგორც რჩეულთა დამახასიათებელ თვისებას (კოლ. 3, 12; ფილიპ. 2, 3-8). ამიტომაც ვთვლი, რომ სასარგებლო იქნება, უფრო დეტალურად განვიხილოთ ეს ცნება და ვკითხოთ საკუთარ თავს, თუ რას ნიშნავს იგი დღეს ჩვენთვის.

თავმდაბლობა უზენაესის წინაშე

ცხადია, „ღვთის წინაშე თავმდაბლობის“ ასპექტის აღქმა ყველაზე ადვილია. ვიყოთ თავმდაბალნი ღვთის წინაშე ნიშნავს

- იმის გაცნობიერებას, რომ მთლიანად ღმერთზე ვართ დამოკიდებულნი;
- ღვთისმოშიშების დამტკიცებას - ღმერთი სრულყოფილი და შეუცდომელია, ჩვენ მას ვერც ბოლომდე გავუგებთ და ვერც რამეს ვაიძულებთ;
- მივენდოთ მთლიანად მის სიყვარულს.

ვიყოთ ღვთის წინაშე თავმდაბალნი საკუთარი პიროვნების არად ჩაგდებას არ გულისხმობს. ცნება: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, ნათლად გვიჩვენებს, რომ ღმერთი არ გვიკრძალავს ჩვენი თავის პატივისცემას ანუ სიყვარულს, და არც იმას, რომ ვიზრუნოთ საკუთარ თავზე. მოდით, მოვერიდოთ ცრუ მოკრძალებას, რომელსაც უნდა დაგვაჯეროს, რომ არ შეგვწევს იმის გაკეთების უნარი, რასაც ღმერთი ჩვენგან მოელის. ჭეშმარიტი თავმდაბალი ფიქრობს, რომ ღმერთი მას უკეთ იცნობს, ვიდრე თვითონ საკუთარ თავს: ღვთის შემწეობით ასეთი ადამიანი იმაზე ორიენტირებას შეძლებს, რასაც მისგან მოელიან.

თავმდაბლობა მოყვასის მიმართ

მოყვასის მიმართ თავმდაბლობა სულიწმიდის ნაყოფია: იგი გვასწავლის, რომ

- ღმერთს ადამიანი უყვარს არა იმის გამო, რასაც იგი წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია. მას ჩვენი მოყვასიც ისევე უყვარს, როგორც ჩვენ ვუყვარვართ და იმ შემთხვევაშიც კი, თუ სრულიად განსხვავებულია იგი ჩვენგან. აქედან გამომდინარე, არ არის საჭირო, რომ სხვაც ისეთივე გახდეს, როგორიც მე ვარ, რათა ისიც ჩემსავით შეიყვარონ;
- ჩვენი დამსახურებების მიუხედავად ყველანი წყალობაზე ვართ დამოკიდებულნი.

ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მოციქული ამბობს: „... თავმდაბლობით საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი“ (ფილიპ. 2, 3). ერთი შეხედვით, ეს სიტყვა არარეალური ჩანს: თითქოს ჩვენგან იმას მოითხოვენ, რომ საკუთარი თავი პრინციპულად უფრო ნაკლებ დავაფასოთ, ვიდრე სხვა, როგორიც არ უნდა იყოს იგი. მაგრამ

ეს მცდარი ინტერპრეტაციაა. ამის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ პავლე მოციქული თავის თავს ასე არ უყურებდა და უყუყმანოდ აცხადებდა, რომ სხვებს არაფრით ჩამოუვარდებოდა (2. კორ. 11, 5).

ამ ბიბლიური ციტატის ახსნა-განმარტებას მომდევნო მუხლში ვხვდებით: „... თვითეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებს, არამედ სხვებზეც“ (ფილიპ. 2, 4). სუფიქსი „ც“ ძალიან მნიშვნელოვანია. ვერავინ და ვერაფერი ვერ აგვიკრძალავს გადაწყვეტილებების მიღებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ამ გადაწყვეტილებებში სხვების ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული.

იესო ქრისტეს მაგალითი

მაგრამ პავლე კიდევ უფრო შორს მიდის. მისი აზრით, თავმდაბლობაში ჩვენ იესო ქრისტეს მაგალითს უნდა მივყვებოდეთ: „რომელიც ღვთის ხატება იყო, მიტაცებად არ თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას, არამედ წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი და შესახედაობით კაცს დაემსგავსა. დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, ჯვარცმით სიკვდილამდე“ (ფილიპ. 2, 6-8).

იესოს კარგად ესმოდა მისი ღვთიური სტატუსი და ძალაუფლება. მიუხედავად ამისა, იგი სრულიად ემორჩილებოდა მამის ნებას. ის ცოდვილების მდგომარეობამდე დამდაბლდა, ემსახურებოდა მათ და დაიტანჯა, რათა, საბოლოო ჯამში, თავისთან აემაღლებინა ისინი. იესოსნაირი თვალთახედვის ქონა ნიშნავს იმას, რომ უფალივით ჩვენც კარგად გვესმოდეს ჩვენი რჩეულება. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენც ჩვენს მოყვასს ვგავართ - ჩვენც მასავით ცოდვილები ვართ, რომელსაც გადასარჩენად წყალობა სჭირდება. ისიც ვიცით, რომ ჩვენი მივლინების მიზანს მისთვის სამსახური, მისი სიკეთისკენ წარმართვა და ხსნის გზაზე მისთვის მხარში ამოდგომა წარმოადგენს.

თავმდაბლობა - ღვთის მსახური

აცნობიერებს რა თავისი სასულიერო თანამდებობის სიწმიდეს, ღვთის მსახური თავმდაბალია. მან იცის, რომ ყოველთვის წყალობაზე იქნება დამოკიდებული. შეიძლება ათწლეულების განმავლობაში აღვასრულებდეთ ჩვენს სასულიერო თანამდებობას, მაგრამ ეს ჩვევაში არ გადაგვივიდეს. თავმდაბალი მსახური ნებისმიერ საქმეში უფლის განკარგულებებს ასრულებს. ვერანაირი სიტუაცია ვერ გაამართლებს იმას, რომ არ განვახორციელოთ იესო ქრისტეს ნება! გარდა ამისა, მას სწორად შეუძლია შეაფასოს მისი დავალება. უფალმა მოციქულები იმისათვის მიავლინა, რომ ესწავლებინათ ის, რაც მან დაუბარა - მაშასადამე, სასულიერო თანამდებობის ავტორიტეტი მხოლოდ სახარების უწყებაზე ვრცელდება. კერძოდ, ჩვენი ცოდნა და გამოცდილება შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში დაგვეხმაროს, მაგრამ არ შეიძლება, რომ პირადი სარწმუნოებრივი გამოცდილება, სასულიერო თანამდებობის ავტორიტეტზე დაყრდნობით, სავალდებულო წესით ვასწავლოთ.

ჩვენ გვევალება, ვიფიქროთ მომავალზე, შევადგინოთ და განვახორციელოთ პროექტები. მაგრამ ღმერთს ვერაფერს ვაიძულებთ. იგია ის, ვინც ჩვენი მცდელობის შედეგებს წყვეტს. პავლეს კარგად ჰქონდა ეს შეგნებული, როცა ეფესელებს ამას სწერდა: „თქვენთან ისევ დავბრუნდები, თუ ღმერთმა ინება“ (საქმე 18, 21). ღმერთმა სისრულეში არ მოიყვანა პავლეს ყველა განზრახვა (რომ. 1, 13); და რატომ უნდა გააკეთოს მან ეს ჩვენს შემთხვევაში?

თავმდაბლობა თემის მიმართ

იესოს მაგალითისამებრ, მოციქულები ყველას მსახურნი არიან (იოან. 13, 15). ისინი თემის რწმენაზე კი არ ბატონობენ, არამედ ხელს უწყობენ მათ სიხარულში (2. კორ. 1, 24; კატ. 7. 6. 3). ყველა მღვდელმსახური თავს მსახურად მოიაზრებს. მაგრამ, მართლა ასეთები არიან ისინი? ჩემდა სამწუხაროდ, აქა-იქ ვაწყდები იმას, რომ ძმები

- „თანამდებობრივ უფლებამოსილებას“ და „თანამდებობრივ იერარქიას“ ერთმანეთში ურევენ - ისინი ბოროტად იყენებენ თავიანთ პოზიციებს, რათა მორწმუნეებს საკუთრი რჩევები მოახვიონ თავს და იქამდეც კი მიდიან, რომ თავადაც სჯერათ, თითქოს და-ძმათა ხსნას მათ მიერ მიცემული დარიგებებისადმი მორჩილება განაპირობებდეს;
- ადვილად ბრაზდებიან და ადვილად სწყინთ - საკუთარ პიროვნებას მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ხომ არ ანიჭებენ?!

მე, ჩემი მხრივ, შევეცდები, რომ ინიციატივებისა და ყოველივე ახლის მიმართ გახსნილი ვიყო. მაგრამ არ მესმის, რატომ მოქმედებენ ზოგიერთები ისე, რომ წინასწარ არ ეკითხებიან რჩევას წინამძღოლებს ან არ ელოდებიან თანხმობას მათგან. დარწმუნებული ვარ, რომ სიახლე, რომლის მიზანიც განხეთქილებაა, არასწორი მიმართულებით შეიძლება წავიდეს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ყოველთვის ისე მოაწყობს, რომ სულიწმიდის მიერ შთაგონებული აზრი განხორციელდეს კიდეც.

ფოტო: © კონგოს დრ-ის ახსე

ნანგო - კონგოს სამხ-აღ-ის პატარა თემმა დაარსებიდან 70 წლის შემდეგ ეკლესიის პირველი საკუთარი შენობა მიიღო.

ეკლესიის თავმდაბლობა

საკუთარი ადგილის გაცნობიერება - ეს არის თავმდაბლობა. ეს ეხება არა მარტო ცალკეულ ადამიანს, არამედ მთელ ეკლესიასაც. პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერის მოსაზრებანი ამასთან დაკავშირებით.

ერთხელ მკითხეს, თუ რა მოუვა მოციქულობასა და საიდუმლოებს ათასწლიან მშვიდობის სასუფეველში? მინდა რამოდენიმე პირადი მოსაზრება გაგაცნოთ ამ თემასთან მიმართებაში ისე, რომ იგი ხელშეუხებელი ჭეშმარიტების დონეზე არ ავიყვანო.

მოციქულობის მომავალი

როგორც რჩეულთა თემი, ქრისტეს ეკლესია ახალ შემოქმედებაშიც იარსებებს (ახსე-ის კატეხიზმო 6. 4. 5). რაც შეეხება ეკლესიაში მოქმედ მოციქულებსა და იქ მინიჭებულ საიდუმლოებს, კარგი იქნება, თუ ეკლესიის საწყის ეტაპებს გავიხსენებთ. იესომ მოციქულები იმ მიზნით დანიშნა, რომ მამასთან მისი დაბრუნების შემდეგ ისინი მისი ელჩები ყოფილიყვნენ. მან ეკლესია იმისათვის დაარსა, რომ ადამიანებს მოციქულთა მოძღვრება და ხსნის მისაღწევად აუცილებელი საიდუმლოები მიეღოთ. ჩვენი მეოთხე სარწმუნოებრივი დებულება აზუსტებს, რომ მოციქულები იესომ „მის მეორედ მოსვლამდე“ მიავლინა.

ათასწლიან მშვიდობის სასუფეველში იესო თავად იქნება დედამიწაზე; მისი ელეჩები აღარ იქნებიან საჭირო მის წარსადგენად. რჩეულთა, სამეფო სამღვდელოების, ამოცანა ქრისტეს მაცნეებად და მოწმეებად ყოფნა იქნება, როგორც თავის დროზე მოწაფეებისა, როცა იესო ამქვეყნად იმყოფებოდა.

საიდუმლოთა მომავალი

ეკლესიაში მინიჭებული საიდუმლოები „ნიშნებს“ წარმოადგენს. ისინი ხილულ ელემენტს სიტყვას უკავშირებენ, რომელიც ამ სიტყვის მიღმა არსებულ სინამდვილეზე მიუთითებს (კატ. 8). ეს სინამდვილე სხვა არაფერია, თუ არა მხსნელის სუფევა.

პირადად მე იმ აზრზე ვარ, რომ იესო ქრისტეს, მხსნელის, მიმართ პატივისცემას დავკარგავდი, თუ დაჟინებით დავიწყებდი იმის მტკიცებას, რომ მოციქულები და საიდუმლოები ათასწლიან მშვიდობის სასუფეველშიც აუცილებელი იქნებოდა ხსნის მისაღწევად.

ახალსამოციქულო ეკლესია

ცოცხალი მოციქულების ხელმძღვანელობით ახალსამოციქულო ეკლესიაც თავმდაბალი უნდა იყოს:

- არც ახალსამოციქულო ეკლესიას და არც მოციქულებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ მას, არ შესწევთ უნარი, შეცვალონ თანამედროვე ხელისუფლებანი და გადაჭრან ამქვეყნად არსებული პრობლემები;
- არც იმის უნარი შეგვწევს, რომ გავცეთ რჩევა-დარიგებები ნებისმიერ საქმეში;
- კარგად გვესმის, რომ არასრულყოფილი ადამიანები ვართ, და არც იმას ვამტკიცებთ, რომ ჩვენი წინამორბედები შეუცდომელნი იყვნენ. ეკლესია ბოდიშს იხდის დაშვებული შეცდომებისათვის. თუმცა წარსულს ვერ შევცვლით. ის, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, არის გარანტია იმისა, რომ დაშვებულ შეცდომას აღარ გავიმეორებთ, თუმცა კარგად ვიცით, რომ აუცილებლად სხვას დავუშვებთ ...
- ის ფაქტი, რომ ღრმად ვართ დარწმუნებულნი ჩვენს სარწმუნოებრივ მოძღვრებაში, ხელს არ გვიშლის სხვა ეკლესიების როგორც სულიერი სიმდიდრის, ასევე მათი წევრების დამსახურებების აღიარებაში.

და ბოლოს, მინდა ერთი ციტატა გაგიზიაროთ, რომელიც ძალიან მომეწონა. ბერი დოროთე ღაზელი, რომელიც VI ს. პალესტინაში ცხოვრობდა, წერდა: „სულები შეიძლება ხილის ხეებს შევადაროთ. როცა ეს ხეები ნაყოფით იხუნძლება, სიმძიმისაგან ტოტები დაბლა იხრება; ხოლო ტოტები, რომლებსაც ნაყოფი არ აბია, ზემოთკენ არის აშვერილი. არის ხეები, რომელთა ტოტებზეც ქვებს ამაგრებენ, რათა ნაყოფის გამოსაღებად დაბლა დასწიონ ისინი. ასევეა სულების შემთხვევაშიც: თუ ისინი თავს იმდაბლებენ, უხვ ნაყოფსაც იძლევიან, და რაც უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებენ, მით უფრო თავმდაბალნი ხდებიან.“ (დოროთე ღაზელი, თავისუფალი თარგმანი ფრანგულიდან).

„დაემორჩილეთ ერთმანეთს, შეიმოსეთ თავმდაბლობა, რადგან ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს. მაშ, დამდაბლდით ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა აგამაღლოთ მან თავის დროზე“ (1. პეტ. 5, 5. 6).

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

პროგრამა

02.07.2017	ჰომა-ბაი/კენია
14.07.2017	ლუბუმბაში/კონკოს დრ.
16.07.2017	ლუბუმბაში/კონკოს დრ.
23.07.2017	ბარსელონა/ესპანეთი
30.07.2017	ცეპერნიკი/გერმანია
05.08.2017	ნატალი/ბრაზილია
06.08.2017	ნატალი/ბრაზილია
19.08.2017	ლუენა/ანგოლა
20.08.2017	საურიმო/ანგოლა
17.09.2017	დენია/ესპანეთი
24.09.2017	მელბურნი/ავსტრალია
25.09.2017	მელბურნი/ავსტრალია
28.09.2017	ვევაკი/ავსტრალია

New Apostolic Church
International